აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის წარდგენის ბოლო თარიღია 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	20486454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	გეოგრაფიის დოქტორი 0505
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 11.07.2012 წელს გადაწყვეტილება №200

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ელაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს ბრძანების №771 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმით (ოქმი №9, 29.01.2019) განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2019 წლის 29 მარტს №4611/01-03-06 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №452455) წარმოდგენილი ,,გეოგრაფიის'' დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესწორებული მასალები და ანგარიში, დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის 2019 წლის 11 მარტის სხდომაზე (ოქმი №1, 11.03.2019). ასევე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 21 მარტს სხდომაზე (ოქმი №2, 21.03.2019)

რეკომენდაცია 1: როგორც კურიკულუმიდან ჩანს, პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს თსუ, გაურკვეველია თუ რა შედის ფინანსურ უზრუნველყოფაში? ამავე დროს სწორედ კვლევისა-

თვის საჭირო რესურსების (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საველე აქტივობები, პუბლიკაციისთვის საჭირო ხარჯები) ნაკლებობა ხშირად არის მიზეზი დოქტორანტების მიერ სტატუსის შეჩერებაც. ჩვენი რეკომენდაციაა, მკაფიოდ განიმარტოს პროგრამაში კონკრეტულად რას და რა მოცულობით აფინანსებს უნივერსიტეტი, კერძოდ, შედის თუ არა დაფინანსებაში კვლევებისთვის საჭირო ხარჯები და რა მოცულობით, რათა პოტენციურ დოქტორანტებს ჰქონდეთ რეალისტური წარმოდგენა არსებულ რესურსებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამაში შევიდა შესაბამისი ჩანაწერი, რომლითაც დაკონკრეტდა, თუ რა იგულისხმება პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაში და მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გამოყენებაში, კერძოდ, დოქტორანტების განკარგულებაშია თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურსცენტრები, გეოგრაფიის დეპარტამენტის ლაბორატორიები, გეოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზები, ელექტრონული რუკები. ასევე, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები საველე სამუშაოების დასაფინასებლად, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო სკოლებში მონაწილეობის ხარჯების ასანაზღაურებლად, ლიტერატურის შესაძენად და სხვა

რეკომენდაცია 2: ,,პროგრამის შედეგებში მკაფიოდ წერია, რომ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს აწარმოოს მაღალი დონის სამეცნიერო კვლევა, იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და სამეცნიერო ფორუმებზე მოხსენების გაკეთება'', პროგრამის კურიკულუმის ტექსტში კი არსად წერია, რომ სტუდენტებს სადოქტორო პროგრამის კვლევით კომპონენტში მოეთხოვებათ სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. პროგრამის აღწერიდან არ ჩანდა თუ რა ფორმით მუშაობს სტუდენტი სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაციის საკითხებზე და ამ მხრივ რა უნარ-ჩვევებს და ცოდნას იძენს. ამავე დროს, ეს წერია თვითშეფასების ანგარიშში - ,,გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტისთვის სავალდებულოა პუბლიკაცია ტომპსონის კლასიფიკატორში ასახული მინიმუმ ერთ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში''. ჩვენი რეკომენდაციაა აღნიშნული საკითხი მკაფიოდ იქნეს ჩამოყალიბებული სადოქტორო პროგრამის კურიკულუმში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დოქტორანტურის დებულებაში ასახულია მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნების აუცილებლობა ტომსონის კლასიფიკატორში ასახულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში. დოქტურანტურის საგანმანათლებლოს პროგრამის სავალდებულო საგანია აკადემიური წერა, რომელიც დაეხმარება დოქტორანტებს სამეცნიერო ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. კურსის ფარგლებში გარკვეული დრო ეთმობა კრიტიკული აზროვნების, კითხვისა და წერის უნარების ჩამოყალიბებას.

გარდა ამისა, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის'' სადოქტორო პროგამაზე აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმით (ოქმი №9, 29.01.2019) მიცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

ნოდარ ფოფორაძე
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მიხეილ ელაშვილი
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი